

სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს
გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტს

ი/მ „პოდოს გრიგორიან“-ის (ს/ნ 07001040145)
მის.: ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, სოფელი ტურცხი
ტელ.: 574808636
ელ.ფოსტა: pogos-pogos00@mail.ru

სკრინინგის განცხადება

გაცნობებთ, რომ ვგეგმავ ავტოგასამართი სადგურის მშენებლობას და ვინაიდან საქართველოს კანონის, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის მე-6 პუნქტის 6.3. ქვეპუნქტის თანახმად, ნავთობისა და ნავთობპროდუქტის, ნავთობქიმიური ან/და ქიმიური პროდუქტის საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია წარმოადგენს აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სკრინინგის პროცედურას დაქვემდებარებულ საქმიანობას, ამავ კოდექსის მე-7 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად, დაგეგმილ საქმიანობაზე წარმოგიდგენთ სკრინინგის განცხადებას, კერძოდ:

ავტოგასამართი სადგურის საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ კოთელიაში, საჯარო რეესტრში 63.06.31.652 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ, ჩემ პირად საკუთრებაში არსებულ(იხ. დანართი: ამონაწერი საჯარო რეესტრიდან) არასასოფლო-სამეურნო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე. აღნიშნული მიწის ნაკვეთის ფართობი შეადგენს 700 კვ.მ.-ს, საიდანაც ავტოგასამართი კომპლექსი განთავსდება 100 კვ.მ. ფართზე. აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე დაგეგმილია სავაჭრო ობიექტის მშენებლობა, სადაც ასევე განთავსდება ავტოგასამართი სადგურის ოფისი - საოპერატორო(პროექტი დამუშავების ეტაპზე); იხ.სიტუაციური ნახაზი). საპროექტო მიწის ნაკვეთს აღმოსავლეთით ესაზღვრება ახალქალაქი-ბაკურიანის გზატკეცილი, ხოლო ჩრდილოეთით, დასავლეთით და სამხრეთით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საკარმიდამო მიწის ნაკვეთები. საპროექტო ტერიტორიიდან უახლოეს ზედაპირული წყლის ობიექტამდე (მდ. აზავრეთის ხევი) უმოკლესი მანძილი შეადგენს 100 მეტრს. საპროექტო ტერიტორიის GPS კოორდინატებია: X_373145, Y_4599120. უახლოესი საცხოვრებელი სახლი უშუალოდ ავტოგასამართი სადგურის საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია დაახლოებით 45 მეტრით.

ავტოგასამართი სადგურისათვის გათვალისწინებულია ორი ერთეული საწვავის რეზერვუარი: 8 მ³ ბენზინისათვის და 8 მ³ დიზელის საწვავისათვის. წლის განმავლობაში დაგეგმილია 400 მ³ ბენზინის და 400 მ³ დიზელის საწვავის რეალიზაცია. ავტოგასამართი სადგურის სამუშაო რეჟიმად განსაზღვრულია წელიწადში 365 დღე, ხოლო სამუშაო საათების რაოდენობა - 24 სთ/დღე.

სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს
„28“ აგვისტო 2024
№ 5978

საპროექტო რეზერვუარები დამზადებული იქნება ლითონისგან, კედლის სისქე იქნება 10 მმ, დაიფარება ანტიკოროზიული ნივთიერებებით და აღჭურვილი იქნება სასუნთქი სარქველებით. რეზერვუარებზე დამონტაჟებული სასუნთქი სარქველების სიმაღლე იქნება 3 მ., ხოლო დიამეტრი 0,05 მ. რეზერვუარი განთავსდება ბეტონის სარკოფაგში, რომელიც მოთავსებული იქნება დატკეპნილი ღორღით მოწყობილ, ჰიდროიზოლირებულ ქვაბულში. რეზერვუარებს შორის სივარდილე შევსებული იქნება ღორღით. **ავტოგასამართ სადგურის ტერიტორიაზე ნავთობპროდუქტების გასაცემი სვეტები განთავსდება გადახურულ (ფარდულის) ტიპის ნაგებობაში.**

პროექტის განხორციელების შემდგომ ავტოგასამართ სადგურზე იფუნქციონირებს ერთი ერთეული ორმხრივი მარიგებელი სვეტი. საპროექტო ტერიტორიაზე ასევე გათვალისწინებულია მეხამრიდის განთავსება და საწვავის რეზერვუარების კედლებზე და მილსადენებში სტატიკური ელექტრომუხტების თავიდან აცილების მიზნით მათი საიმედო ჩამიწება, აგრეთვე საწვავის მიღებისას ავტოცისტერნის ჩამიწების კონტურთან მიერთება. ავტოგასამართი სადგურის წყლით მომარაგება განხორციელდება ადგილობრივი წყალმომარაგების სისტემიდან და გამოიყენება მხოლოდ საყოფაცხოვრებო და სახანძრო დანიშნულებით, ხოლო შიდა საკანალიზაციო ქსელი მიერთებული იქნება საპროექტო ტერიტორიაზე ბეტონით მოწყობილ ქაზე, **სადაც ასევე შეიკრიბება საპროექტო ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლები**, რომლის გასუფთავება მოხდება ადგილობრივი ორგანიზაციის მიერ შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

აღსანიშნავია, რომ დაგეგმილი პროექტი მსხვილი მასშტაბის სამშენებლო და მიწის სამუშაოებს არ ითვალისწინებს. შესაბამისად, ნიადაგზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ იქნება. ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციის დროს ნიადაგის ან/და გრუნტის წყლების დაბინძურების რისკები ძირითადად უკავშირდება საწვავის შემთხვევით დაღვრას. იმის გათვალისწინებით, რომ ავტოგასამართი სადგურის ტერიტორია მობეტონებული იქნება, ხოლო ობიექტის პერიმეტრზე გათვალისწინებულია წყალშემკრები სისტემის და გამწმენდი სალექარის მოწყობა, ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისას გრუნტის წყლებზე და ნიადაგზე ნავთობპროდუქტების უარყოფით ზემოქმედებას ადგილი არ ექნება.

უსაფრთხოების მიზნით ობიექტზე დამატებით იგეგმება ნავთობპროდუქტების დაღვრის შემთხვევაში გამოსაყენებელი სპეციალური აღჭურვილობის განთავსება (აბსორბენტები ან/და ქვიშა), რომელიც გამოყენებული იქნება საჭიროებისამებრ.

გამომდინარე იქიდან რომ, რომ არსებული სტანდარტის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიაზე სარეზერვუარო პარკი განთავსდება ბეტონის სარკოფაგში, რომლის ქვეშაც მოეწყობა ჰიდროიზოლაციის ფენა, ამასთან, რეზერვუარებს შორის სივარდილე შეივსება ღორღით, ნავთობპროდუქტების ავარიული გაჟონვის შემთხვევაშიც კი მათი მოხვედრის რისკი ნიადაგსა თუ გრუნტის/ზედაპირულ წყლებში პრაქტიკულად არ არსებობს.

აგრეთვე, ობიექტის მოწყობის თავდაპირველ ეტაპზე, მიწის სამუშაოების წარმოების დროს არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არსებობის ნიშნების ან მათი რაიმე სახით გამოვლინების შემთხვევაში, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად შეწყდება სამუშაოები და ამის შესახებ დაუყონებლივ ეცნობა კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს.

ავტოგასამართი სადგურის დაპროექტებისას გათვალისწინებული იქნება „ავტოგასამართი სადგურებისა და ავტოგასამართი კომპლექსების უსაფრთხოების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 8 დეკემბრის №1-1/2935 ბრძანებაში ასახული დებულების მოთხოვნები. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროებს წარმოადგენს შემდეგი ტექნოლოგიური პროცესები და დანადგარები: თხევადი საწვავის (ბენზინი, დიზელი) მიღება ავტოცისტერნებით, დროებითი შენახვა(მიწისქვეშა რეზერვუარებში) და მომხმარებლებზე გაცემა (საწვავ-სარიგებელი სვეტ-წერტილების მეშვეობით). საპროექტო ავტოგასამართი სადგურის ძირითადი მოწყობილობებია: თხევადი საწვავის(ბენზინი, დიზელი) საწვავ-გამანაწილებელი სვეტები(სულ 1 ერთეული ორმხრივი, მათ შორის ერთი - ბენზინის, ხოლო მეორე - დიზელის საწვავისთვის). საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ადგილი ექნება ავტოგასამართი სადგურის ძირითად უბნებზე მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ გაფრქვევას ატმოსფერულ ჰაერში. ობიექტის ექსპლუატაციისას გამოყოფილ მავნე ნივთიერებებს წარმოადგენს ნავთობპროდუქტების ნახშირწყალბადები. მავნე ნივთიერებების ემისიების მაქსიმალური ერთჯერადი და საშუალო დღეღამური ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები მოცემულია ცხრილში:

მავნე ნივთიერებათა		ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია, მგ/მ ³		მავნეობის საშიშროების კლასი
დასახელება	კოდი	მაქსიმალური ერთჯერადი	საშუალო სადღეღამისო	
1	2	3	4	5
ნავთობის ნახშირწყალბადები (ჯამურად)	2754	1,0	-	4

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის № 42 დადგენილების „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების ინვენტარიზაციის ტექნიკური რეგლამენტი“-ს მე-5 მუხლის თანახმად ემისიის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაანგარიშება შესაძლებელია განხორციელდეს ორი გზით:

- უშუალოდ ინსტრუმენტული გაზომვებით;
- საანგარიშო მეთოდის გამოყენებით.

წინამდებარე დოკუმენტში გაანგარიშება შესრულებულია საანგარიშო მეთოდის გამოყენებით.

ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში დიზელის საწვავის რეალიზაციისას.

ტექნოლოგიურ პროცესში მავნე ნივთიერებათა აიროვანი გამონაფრქვევები გაანგარიშებულია საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის დადგენილება №435-ის, „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მეთოდის, დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის დამდგენი სპეციალური გამზომ-საკონტროლო აპარატურის სტანდარტული ჩამონათვალისა და დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის საანგარიშო მეთოდის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ მიხედვით, რომლითაც (დანართი № 98) ერთ ლიტრ რეალიზებულ დიზელის საწვავზე საერთო კუთრი დანაკარგი (მიღება, შენახვა, გაცემა) შეადგენს 0,0025 გრ-ს. შესაბამისად წლიური დანაკარგი გამოითვლება დიზელის საწვავის წლიური მოცულობის (ლიტრებში) რეალიზაციის გამრავლებით კოეფიციენტზე - 0,0025. დიზელის საწვავის წლიური სავარაუდო რეალიზაცია შეადგენს 400 მ³ (400 000 ლიტრი/წელ);

წლიური ემისია - $400\ 000\ \text{ლ/წელ} * 0,0025\ \text{გრ/ლ} * 10^{-6} = 0,001\ \text{ტ/წელ};$

საპროექტო ავტოგასამართი სადგურის მუშაობის რეჟიმის (24 სთ/დღე წლის განმავლობაში) გათვალისწინებით წამური ემისია იქნება: დიზელისათვის - $0,001 * 10^6 / 365\ \text{დღ} * 24\ \text{სთ} * 3600\ \text{წმ} = 0,0000317\ \text{გრ/წმ};$

ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში ბენზინის რეალიზაციისას.

ტექნოლოგიურ პროცესში მავნე ნივთიერებათა აიროვანი გამონაფრქვევები გაანგარიშებულია საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის დადგენილება № 435-ის, „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მეთოდის, დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის დამდგენი სპეციალური გამზომ-საკონტროლო აპარატურის სტანდარტული ჩამონათვალისა და დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის საანგარიშო მეთოდის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ მიხედვით, რომლითაც (დანართი № 98) ერთ ლიტრ რეალიზებულ ბენზინისათვის საერთო კუთრი დანაკარგი (მიღება, შენახვა,

გაცემა) შეადგენს 1,4 გრ-ს. შესაბამისად წლიური დანაკარგი გამოითვლება ბენზინის წლიური მოცულობის (ლიტრებში) რეალიზაციის გამრავლებით კოეფიციენტზე -1,4.

ბენზინის საწვავის წლიური სავარაუდო რეალიზაცია შეადგენს 400 მ³ (400 000 ლიტრი/წელ);

წლიური ემისია – $400\ 000\ \text{ლ/წელ} * 1,4\ \text{გრ/ლ} * 10^{-6} = 0,56\ \text{ტ/წელ}$;

საპროექტო ავტოგასამართი სადგურის მუშაობის რეჟიმის (24 სთ/დღ წლის განმავლობაში) გათვალისწინებით წამური ემისია იქნება: ბენზინისთვის – $0,56 * 10^6 / 365\ \text{დღ} * 24\ \text{სთ} * 3600\ \text{წმ} = 0,0178\ \text{გრ/წმ}$;

ატმოსფეროში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის 4 სტაციონარული წყაროდან ჯამური წლიური გაფრქვევა შეადგენს 0.561 ტ, მ.შ: ნახშირწყალბადები ჯამურად - 0.561 ტ/წელ.

ზემოაღნიშნული ანგარიშიდან დგინდება, რომ საპროექტო ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციისას ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული ნივთიერებები არ გადააჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს.

ავტოგასამართ სადგურზე ხმაურის გამომწვევი დანადგარების განთავსება/ექსპლუატაცია არ არის გათვალისწინებული. შესაბამისად, ხმაურის დასაშვები დონის გადაჭარბებას ადგილი არ ექნება.

ავტოგასამართი სადგურის საპროექტო ტერიტორია მდებარეობს საავტომობილო გზის სიახლოვეს და დასახლებული პუნქტის ტერიტორიაზე. ობიექტის მიმდებარე ტერიტორიაზე არ გვხვდება მრავალწლოვანი ნარგავები (შესაბამისად, არც „წითელი ნუსხით“ დაცული სახეობები).

ავტოგასამართი სადგურის მდებარეობიდან გამომდინარე, ობიექტის სიახლოვეს აგრეთვე არ არის ცხოველების ბინადრობისათვის ხელსაყრელი პირობები. შესაბამისად, ნავთობპროდუქტების საცავების მოწყობის სამუშაოები, აგრეთვე ობიექტის ფუნქციონირება, ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედებასთან დაკავშირებული არ იქნება.

საპროექტო ავტოგასამართი სადგურის სიახლოვეს, 500 მეტრიან რადიუსში სხვა ავტოგასამართი სადგურები არ ფუნქციონირებს. შესაბამისად, ნავთობპროდუქტების საცავების მოწყობისა და საწვავის რეალიზაციისთან დაკავშირებული საქმიანობისას გარემოზე კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ იქნება.

პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ინერტული(სამშენებლო) ნარჩენები კანონმდებლობის სრული დაცვით გატანილი იქნება მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე. აღნიშნულის შესახებ ეცნობება მყარი ნარჩენების მართვის სამსახურს და მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი ნარჩენის რაოდენობა, სახეობა და შეტანის თარიღი.

ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისას წარმოიქმნება საყოფაცხოვრებო და სახიფათო ნარჩენები. ნარჩენების შეგროვება მოხდება სეპარირებულად, სპეციალურ კონტეინერებში. ნარჩენის გატანა მოხდება ახალქალაქის მუნიციპალური სამსახურის მიერ, გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო სახიფათო ნარჩენები, როგორცაა ნავთობით დაბინძურებული ტანსაცმელი, აბსორბენტები, ხელსაწყოები და სხვა ნარჩენები, შეინახება სახიფათო ნარჩენებისათვის განკუთვნილ სპეციალურ კონტეინერში და შემდგომში დამუშავების/განადგურების მიზნით გადაეცემა გარემოსდაცვითი შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას.


სახანძრო უსაფრთხოების მიზნით, ავტოგასამართი სადგური უზრუნველყოფილი იქნება სახანძრო ინვენტარით და საჭირო რაოდენობის პირველადი ქრობის საშუალებებით (ცეცხლმაქრებით). დამატებით, შესაძლებელია მოეწყოს ხანძრის აღმომჩენი სახანძრო სიგნალიზაციები, რომელიც ექვემდებარება პერიოდულ შემოწმებას.

ყოველივე ზემოთხსენებულის საფუძველზე, დაგეგმილი საქმიანობა, თავისი სპეციფიკიდან, მასშტაბიდან და ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, გარემოს ცალკეულ კომპონენტებზე მნიშვნელოვან უარყოფით ზემოქმედებასთან დაკავშირებული არ იქნება. საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ბეტონის საფარი, გადახურვა და წყალშემკრები სისტემა უზრუნველყოფს შემთხვევით დაღვრილი ნავთობპროდუქტების გარემოში მოხვედრის პრევენციას. ასევე, მცირე მოცულობიდან გამომდინარე, პრაქტიკულად უმნიშვნელო იქნება და გარემოზე მნიშვნელოვან უარყოფით ზემოქმედებას ვერ მოახდენს ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე წარმოქმნილი და ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებები - ნახშირწყალბადები. საქმიანობის განხორციელება დაკავშირებული არ იქნება დამატებითი ტერიტორიების ათვისებასთან, მრავალწლოვანი ხე-მცენარეების მოჭრასთან და ფლორასა და ფაუნაზე ზემოქმედებასთან.

აღსანიშნავია, რომ ავტოგასამართ სადგურზე დასაქმდება ადგილობრივი მოსახლეობა, შესაბამისად, ობიექტის საქმიანობა დადებით გავლენას მოახდენს ადგილობრივ სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე.

- დანართი: 1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;**
- 2. საკადასტრო გეგმა;**
- 3. სიტუაციური ნახაზი.**

ი/მ „პოლოს გრიგორიანი“



ხელმოწერა

26.10.2022წ.

თარიღი



ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882022274022 - 21/04/2022 13:30:30

მომზადების თარიღი
01/05/2022 16:52:45

საკუთრების განყოფილება

მონა ახალქალაქი	სექტორი კოთელია	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
63	06	31	652	ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო დაზუსტებული ფართობი: 700.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი: 63.06.31.178;

მისამართი: მუნიციპალიტეტი ახალქალაქი, სოფელი კოთელია

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882021847666 , თარიღი 04/10/2021 11:07:59
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 18/10/2021

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- გადაწვევები განცხადების დასაბუთებულობის დადასტურებისა და მიწის ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების შესახებ N409854 , დამოწმების თარიღი: 12/10/2021 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- ნასყიდობის ხელშეკრულება N191313115 , დამოწმების თარიღი: 28/10/2019 , ნოგარიუსი თ. გელაშვილი

მესაკუთრები:

პოლოს გრიგორიან, P/N: 07001040145

მესაკუთრე:

პოლოს გრიგორიან

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყაღაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეობა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- ლოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლესა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge




საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული
სააგენტო

საკადასტრო კოდი: **63.06.31.652**
განცხადების ნომერი: **882021847666**
მომზადების თარიღი: **18/10/2021**

ნაკვეთის დანიშნულება:
ფართობი:

არასასოფლო საშენი
700 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)



კოორდინატა სისტემა: WGS 84 / UTM zone 38N

	ნაკვეთის საზღვარი		პირობითი აღნიშვნები: მშენებარე ნაგებობა		აშენებული ნაგებობა
	ხაზობრივი ნაგებობა		ტყის ფონდი		ვალდებულება

სიტუაციური ნახაზი
ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, სოფელი კოთელია

